

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-41**

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2023 წელი

**შემსყიდველი:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძის სახით;

მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;

საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

**მიმწოდებელი:** სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ვახტანგ დეკანოსიძის სახით;

მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ N 88/15;

საიდენტიფიკაციო კოდი: 205023856;

საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა GE12TB1100000108467708.

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ, მიმწოდებელი ჩატარებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230002934) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

**1. ტერმინთა განმარტება**

- 1.1. „მზღვეველი“ - სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და „დამზღვევთან“ დებს წინამდებარე ხელშეკრულებას;
- 1.2. „დამზღვევი“ - პირი, რომელიც დებს წინამდებარე ხელშეკრულებას „მზღვეველთან“ და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;
- 1.3. „დაზღვეული“ (მოსარგებლე) – „დამზღვევთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა;
- 1.4. „თანამშრომლები“ – „დამზღვევთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები.
- 1.5. „სადაზღვევო ლიმიტი“ - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - „მზღვეველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;
- 1.6. „სადაზღვევო ბარათი“ – სადაზღვევო პოლისი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს „დამზღვევის“ („დაზღვეულის“) უფლებას „სადაზღვევო ანაზღაურებაზე“;
- 1.7. „სადაზღვევო ანაზღაურება“ - თანხა ან მომსახურება, რომელიც „მზღვეველისაგან“ ეკუთვნის „დამზღვევს“ („დაზღვეულს“) „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.“
- 1.8. „სადაზღვევო პრემია“ - თანხა (დაზღვევის ღირებულება), რომელიც უნდა გადაუხადოს „დამზღვევმა“ „მზღვეველს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურად;
- 1.9. „სადაზღვევო შემთხვევა“ - ფაქტობრივად დამდგარი შემთხვევა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება „მზღვეველის“ მიერ „დამზღვევის“ („დაზღვეულის“) მიმართ „სადაზღვევო ანაზღაურების“ გადახდას ითვალისწინებს;



1.10. „დაზღვევის პირობები“ – „მზღვეველის“ მიერ გამოცხადებული ტენდერის NAT 230002934 პირობების შესაბამისად შემუშავებული ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.11. „უბედური შემთხვევა“ - უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა „დაზღვეულის“ ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია „დაზღვეულის“ შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;

1.12. „ფორს-მაჟორი“ - სტიქიური მოვლენა, გაფიცვა, ლოკაუტი, ტერორისტული აქტი, დივერსია, საბოტაჟი, საომარი/ საბრძოლო მოქმედება, სამოქალაქო მღელვარება, რევოლუცია, ეპიდემია, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც „მხარ(ებ)ის“ კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია;

1.13 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება - ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;

1.14 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა - მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

## **მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფ უცხოელი მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, (CPV66512220) ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მიხედვით (დანართი N 1 - ტექნიკური დავალება);

2.2. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის/მიმწოდებლის ვალდებულებას გაუწიოს დაზღვეულს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მომსახურება (დანართი N 1 - ტექნიკური დავალება);

2.3. მიმწოდებლის პროვაიდერების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჩამონათვალი მოცემულია დანართ N 2-ში;

2.4 წინამდებარე ხელშეკრულებისა და „დაზღვევის პირობების“ საფუძველზე „დაზღვეულებისათვის“ გაიცემა შესაბამისი „სადაზღვევო ბარათები“. წინამდებარე ხელშეკრულება, „დაზღვევის პირობებთან“ და „სადაზღვევო ბარათებთან“ ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას „მხარეებს“ შორის;

2.5. „მხარეები“ აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უკლებლივ ყველა პირობას;

2.6 მომსახურების პერიოდში დაზღვეულ პირთა დამატების და /ან გამოკლების (მათ შორის მინიმუმამდე შემცირების) შემთხვევაში, სადაზღვევო მომსახურების პირობების შემსყიდველისათვის საზიანოდ შეცვლა დაუშვებელია.

2.7 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, თითოეული „სადაზღვევო ბარათი“ გაიცემა ამავე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის დასრულებამდე ვადით.

## **მუხლი 3. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები**

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის განხორციელდება სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება 35 პერსონაზე 20475.00 (ოცი ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

3.2 დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო თანხის (პრემიის) ოდენობა თითოეული დაზღვეულისთვის შეადგენს 65.00 (სამოცდახუთი) ლარს;

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მზღვეველის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის (დეტალურად გაწერილი ინვოისის) საფუძველზე შედგენილი მიღება -ჩაბარების აქტზე ხელმოწერებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანუ მზღვეველი ყოველი საანგარიშო თვის მეორე (შემდეგი) თვის არაუგვიანეს 5 რიცხვისა



წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას ინვოისს, სადაც მიეთითება დამზღვევის მიერ შესაბამის თვეში (საანგარიშო პერიოდში) გადასახდელი პრემიის ოდენობა დაზღვეულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით და თითოეულ პირზე არსებული ასანაზღაურებელი სადაზღვევო პრემია სადაზღვევო დღეების რაოდენობის (საანგარიშო პერიოდის) შესაბამისად;

3.4. მხარეები თანხმებიან, რომ ივლისის და აგვისტოს თვეებში როცა მომსახურების გაწევა არ ხორციელდება შემსყიდველი არ განახორციელებს ანგარიშსწორებას;

3.5 დაზღვეულ პირთა დამატების და/ან გამოკლების შემთხვევაში (აღნიშნულის შესახებ მზღვეველს ინფორმაცია მიეწოდება შემსყიდველისგან წერილობითი სახით) ინდივიდუალურ პირებზე სადაზღვევო პრემიის სიდიდე დაანგარიშდება დღეების რაოდენობის (საანგარიშო პერიოდის) მიხედვით, შემსყიდველის წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღების (დღეების) შესაბამისად;

3.6 დადგენილ ვადაში „სადაზღვევო პრემიის“ გადაუხდელობის შემთხვევაში „მზღვეველი“ უზღავნის „დამზღვევს“ წერილობით შეტყობინებას ორკვირიანი ვადის მითითებით;

3.7 შეტყობინების გაგზავნიდან ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ შესაბამისი „სადაზღვევო პრემია“ არ იქნება გადახდილი, „მზღვეველი“ თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან;

3.8 „სადაზღვევო შემთხვევის“ დადგომისას, „მზღვეველის“ მიერ „სადაზღვევო ანაზღაურების“ გადახდა ხორციელდება „დაზღვევის პირობებისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.9 დაფინანსების წყარო: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“.

#### **მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი**

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

#### **მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (მომსახურების გაწევა არ იქნება გამოყენებული ივლისსა და აგვისტოს თვეებში);

5.2 მომსახურების გაწევის ადგილი საქართველო, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

#### **მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის მიმართულების კოორდინატორს ნელი ყარაშვილს ან მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში სტანდარტებისა და რესურსების პროგრამის სხვა თანამშრომელს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

#### **მუხლი 7. ანგარიშსწორება**

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;



7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## **მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

### **8.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:**

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს

„მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

### **8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

### **8.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

### **8.4 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:**

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი/რაოდენობის შემოწმების და დადასტურების შემდეგ და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

## **მუხლი 9. განსაკუთრებული პირობა**

9.1. დაზღვეულ პირთა დამატება და/ან გამოკლება მოხდება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შესაბამისად ინდივიდუალურ პირებზე დაზღვევის სრული ან ახალი პირების დაზღვევა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;



9.2 შემსყიდველ ორგანიზაციაზე სადაზღვევო მომსახურების გაწევის განმავლობაში მზღვეველის მიერ სატელეფონო ცენტრში უნდა იყოს ინგლისურენოვანი (ინგლისურ ენაზე თავისუფლად მოსაუბრე) საკონტაქტო პირი, რომელთანაც შესაძლებელი იქნება უცხოელი მოხალისეების დაკონტაქტება და რომელიც უზრუნველყოფს დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სამედიცინო პირობების გაცნობას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას 24 საათის განმავლობაში;

9.3 არასამუშაო საათებში (დღეებში) სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, დაზღვეული უფლებამოსილია ოჯახის ექიმის მიმართვის გარეშე, ცხელ ხაზზე შეტყობინების საფუძველზე, ისარგებლოს „მიმწოდებლის“ პროვაიდერი კლინიკის სამედიცინო მომსახურებით, მომსახურე კლინიკის ექიმის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე;

9.4 დაზღვეული უფლებამოსილია „მიმწოდებლის“ მიერ განსაზღვრული პროვაიდერი სამედიცინო კომპანიების ქსელის ფარგლებში, ისარგებლოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მომსახურებით;

9.5 ანაზღაურებას ექვემდებარება ქრონიკული და დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობა.

### **მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 % ოდენობით;

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### **მუხლი 11. რეგრესის უფლება**

11.1 „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემის შემდეგ „მზღვეველზე“ გადადის რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც „დამზღვევს“ („დაზღვეულს“, „მოსარგებლეს“) გააჩნია „უბედური შემთხვევის“ შედეგად მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ;

11.2 „დამზღვევი“ („დაზღვეული“, „მოსარგებლე“) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს „მზღვეველს“ ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს „მზღვეველის“ ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზება;

11.3 „დამზღვევის“ („დაზღვეულის“, „მოსარგებლის“) მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში „მზღვეველს“ უფლება აქვს უარი თქვას „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

### **მუხლი 12. კონფიდენციალობა**

„მხარეები“ ვალდებული არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.



### მუხლი 13. დაზღვეულთა ცვლილების წესი

13.1 „დამზღვევის“ სურვილით შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეიცვალოს „დაზღვეულთა“ რაოდენობა: „დაზღვეულთა“ რაოდენობის ცვლილება გულისხმობს დაზღვეულთა სიით განსაზღვრული „დამზღვევის“ თანამშრომლის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლებას, „დაზღვეულთა“ რაოდენობის გაზრდას ან შემცირებას. (მათ შორის მინიმუმამდე). „დაზღვეულთა“ რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში „დამზღვევის“ მიერ ყოველთვიურად გადასახდელი „სადაზღვეო პრემია“ განისაზღვრება არსებული ცვლილების მიხედვით „დაზღვეულთა“ რაოდენობის და მათი შესაბამისი სადაზღვეო მომსახურების დღეების (საანგარიშო პერიოდის) შესაბამისად. ყოველი ასეთი ცვლილება ფორმდება დანართის სახით;

13.2 „დაზღვეულთა“ რაოდენობის გაზრდას „დამზღვევი“ აწოდებს „მზღვევლს“ „დაზღვეულთა“ შესახებ ყველა საჭირო მონაცემს და იხდის სადაზღვეო პერიოდის (თვის განმავლობაში სადაზღვეო დღეების მიხედვით) შესაბამის პრემიას.

### მუხლი 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

14.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

14.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმი გამოიყენოს დაზღვეულის ცალკეული მოთხოვნის საფუძველზე;

14.5 შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობით ან სატელეფონო შეტყობინების სახით აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებაში არსებული ხარვეზების (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებთან შეუსაბამობის) შესახებ და მოითხოვოს მისი გამოსწორება უმოკლეს ვადაში;

14.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტისა ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული მომსახურების ხელახალი გაწევა;

14.7 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის მენეჯერი თეა ვახტანგაძე ან მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში სტანდარტებისა და რესურსების პროგრამის სხვა თანამშრომელი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

### მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 15.1. პუნქტში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;



15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

15.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

15.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ამ მუხლის 15.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება

#### **მუხლი 16. ქვეკონტრაქტორები**

16.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორის (ქვეკონტრაქტორების) აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით;

16.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

#### **მუხლი 17. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

ხელშეკრულებაში შესაძლებელია მოხდეს დაზღვეულ პირთა რაოდენობის ცვლილება დაზღვეულ პირთა დამატების და/ან გამოკლების სახით. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი შეტყობინების სახით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად აღნიშნულ პირებზე სადაზღვევო მომსახურება შეწყდება (გავრცელდება) შემსყიდველის მიერ შეტყობინებაში მითითებული დღიდან. დაზღვეულ პირთა დამატების შემთხვევაში პოლისების მიწოდება მოხდება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

#### **მუხლი 18. ფორს-მაჟორი.**

18.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი



ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

### **მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### **მუხლი 20. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

20.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

20.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 21. სხვა პირობები**

21.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

21.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

21.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

21.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

21.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

21.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

21.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

21.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

21.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა და შტამპი;

21.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

21.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

### **მუხლი 22. სანქციის პირობა**

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან,



ევროკავშირის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ან შვედეთის შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

**მუხლი 23. მხარეთა ხელმოწერები**

**შემსყიდველი:**

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი



**მიმწოდებელი:**

სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“

ვახტანგ დეკანოსიძე  
გენერალური დირექტორი



## დაზღვევის პირობები

1. შესყიდვის ობიექტი: ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება.
2. დაზღვეულთა რაოდენობა – 35 პერსონა.
3. მომსახურების გაწევის ვადები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### აუცილებელი პირობა:

- ა. ასაკობრივი ზღვარი – ულიმიტო;
- ბ. ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თანამშრომლების (რაოდენობის მიუხედავად), იგივე პირობებით დამატების და გამოკლების შესაძლებლობა.
- გ. სადაზღვევო პრემია ერთ თანამშრომელზე (ინდივიდუალური პაკეტი) თვეში დაანგარიშებული უნდა იყოს ტენდერის სავარაუდო ღირებულების, თვეების (არაუმეტეს 9 თვე) და თანამშრომელთა რაოდენობის გათვალისწინებით. (შემოთავაზებული ინდივიდუალური პოლისების პრემია უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის სადაზღვევო პოლისების დამზადების ან/დასადაზღვევო კომპანიის დაზღვეულების პლატფორმაზე აქტივაციის ღირებულებას. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
- დ. დაზღვეულ პირს უნდა ჰქონდეს პროვაიდერი და არაპროვაიდერი კლინიკების, მათ შორის ამბულატორიული, ჰოსპიტალური და სტომატოლოგიური კლინიკის არჩევის თავისუფლება.
- ე. მოთხოვნის შემთხვევაში უნდა მოხდეს ფორმა N 100ა-ს მომზადება და გაცემა მოთხოვნიდან ორი სამუშაო დღის ვადაში;
- ვ. მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს ინგლისურის მცოდნე ოჯახის ექიმები და ვიწრო პროფილის სპეციალისტები თბილისში და რეგიონების მთავარ ქალაქებში. ( რეგიონებში ინგლისური ენის მცოდნე



ექიმების არ არსებობის შემთხვევაში სადახლვევო კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყოს ექიმსა და მოხალისე უცხოელ მასწავლებელს შორის ინგლისურენოვანი კომუნიკაცია

2. შემოთავაზებული პაკეტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ მომსახურებებს

დასახელება		დაფარვა	ლიმიტი (ლარი)
ასისტანსი		100%	ულიმიტო
პირადი ექიმის მომსახურება		100%	ულიმიტო
სასწრაფო სამედიცინო მომსახურება		100%	ულიმიტო
პროფილაქტიკური კვლევები		100%	წელიწადში ორჯერ
გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო		100%	12 000
ჰოსპიტალური მომსახურება	გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება	100%	12 000
გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება		100%	10 000
კარდიოლოგია		100%	7 000
დღის ჰოსპიტალური მომსახურება	გადაუდებელი	100%	7 000
	გეგმიური	60%	
სტენტი/ენდოპროტეზი/დამხმარე საშუალებები/მაკორეგირებელი საშუალებები/შიდა საფიქსაციო საშუალებები		100%	1 500
ონკოლოგია		100%	7 000
ორსულობა/მშობიარობა		100%	1 200
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება		100%	ულიმიტო
გეგმიური ამბულატორიული მომსახურება		80%	2 500
მედიკამენტები		70%	2 500
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება		100%	ულიმიტო
გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება	პროვაიდერ კლინიკებში	60%	2 500
	არაპროვაიდერ კლინიკებში	30%	600
სამოგზაურო დაზღვევა - 50 000 აშშ დოლარი/ევრო (ვრცელდება მხოლოდ თანამშრომლებზე)			30 დღე (სადაზღვევო პერიოდი)
უბედური შემთხვევის დაზღვევა - გარდაცვალება (ვრცელდება მხოლოდ 65 წლამდე)			4 000



#### 4. ტექნიკური მოთხოვნები:

ა) პრეტენდენტს უნდა ქონდეს პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელი, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს შემდეგ რეგიონებში: აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, რაჭა. აღნიშნულ რეგიონების რაიონულ ცენტრებში პრეტენდენტს უნდა ყავდეს ოჯახის ექიმებიც, (თუ რომელიმე რაიონულ ცენტრში არ არის ოჯახის ექიმი, მიმწოდებელმა სასურველია უზრუნველყოს დაზღვეული პირის ვიზიტის ორგანიზება უახლოეს რაიონულ ცენტრში არსებულ ოჯახის ექიმთან).

ბ) პრეტენდენტს უნდა ქონდეს სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფართო ქსელი.

#### ტერმინთა განმარტება

##### 1. „ასისტანსი“

უნდა ითვალისწინებდეს 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას, დაზღვეულისთვის დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, კერძოდ, პირად ექიმთან ვიზიტის დაგეგმვას და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახებას.

##### 2. პირადი ექიმის მომსახურება

უნდა ითვალისწინებდეს პირადი ექიმის მიერ დაზღვეულ პირთა კონსულტაციას და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, სამედიცინო ჩვენებისას მიმართვის გაცემას დამატებითი კონსულტაციების და/ან გამოკვლევების ჩასატარებლად, მკურნალობის დანიშვნას, მიმართვის გაცემას პროვაიდერ სააფთიაქო ქსელში, მკურნალობის ტაქტიკის შეთანხმებას კონკრეტული პროფილის სპეციალისტებთან, ბიულეტენის გაცემას;

##### 2.1. მომსახურების მიღების სქემა:

2.1.1. პირადი ექიმის მომსახურების მისაღებად დაზღვეული უკავშირდება „ასისტანს“-ს და ათანხმებს ექიმთან ვიზიტის დროს ან/და სადაზღვევო კომპანიის დაზღვეულთა პლატფორმაზე თავად ახდენს ექიმის შერჩევას და ვიზიტის ჩანიშვნას.

##### 3. სასწრაფო სამედიცინო მომსახურება

უნდა ითვალისწინებდეს დაზღვეულისთვის, პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და ჩვენების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით.

##### 3.1. მომსახურების მიღების სქემა:

3.1.1. დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უკავშირდება „ასისტანს“-ს. საჭიროების შემთხვევაში „ასისტანსი“ უზრუნველყოფს დაზღვეულისათვის სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახებას. ასეთ შემთხვევებში, დაზღვეულმა ან სხვა პირმა სასწრაფოს ბრიგადას უნდა წარუდგინოს დაზღვეულის სადაზღვევო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან;

3.1.2. დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილი უნდა იყოს თავად დაუკავშირდეს პროვაიდერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას. დაზღვეული თავად იხდის სამედიცინო მომსახურების სრულ ღირებულებას და შემდეგ ასანაზღაურებლად მიმართავს მზღვეველს. ანაზღაურების



მისაღებად საჭიროა სერვისის მიღებიდან არაუმეტეს 50 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიაში წარდგენილი ან პლატფორმაზე ატვირთული ან/და ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნილ უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1.2.1. სადაზღვევო ბარათი;

3.1.2.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.1.2.3. მომსახურე დაწესებულების/ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული ჩატარებული მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია;

3.1.2.4. გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით სტამბური სქემით დაბეჭდილ ჩეკთან გათანაბრებულ დოკუმენტს ან საბუთს, სადაც მოცემულია მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია.

თუ სავარაუდო გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 500 (ხუთასი) ლარს ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში უნდა მოხდეს ანაზღაურების გაცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით. 500 (ხუთასი) ლარზე მეტ თანხებზე ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

ელექტრონულად გადაგზავნილი დოკუმენტაციის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია, ორიგინალი დოკუმენტაცია შეინახოს არაუმეტეს 6 (თვე) თვის განმავლობაში.

#### **4. დაავადებათა პროფილაქტიკა**

უნდა ითვალისწინებდეს სამედიცინო ჩვენების გარეშე პირადი ექიმის კონსულტაციას. პირადი ექიმის მიმართვით სისხლის საერთო ანალიზს, შარდის საერთო ანალიზს, ე.კ.გ.-ს, გლუკოზის დონის განსაზღვრას სისხლში, პროთრომბინის დონის განსაზღვრას სისხლში, ერთი რომელიმე სისტემის ექოსკოპიას, ერთი რომელიმე სპეციალისტის კონსულტაციას, თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას.

##### **4.1. მომსახურების მიღების სქემა:**

მომსახურების მისაღებად, დაზღვეული უკავშირდება „ასისტანს“-ს პირად ექიმთან ვიზიტის ორგანიზებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ გამოკვლევებზე. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი უნდა იყოს თბილისში და რეგიონში პირადი ექიმის დისლოკაციის ადგილებში, სადაც დაზღვეულს გახსნილი აქვს ისტორია. ამასთან, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პირად ექიმთან დისტანციური კონსულტაციის საფუძველზე ელექტრონული მიმართვით სარგებლობა აღნიშნული სერვისისათვის პირადი ექიმის დისლოკაციის ადგილებში, სადაც დაზღვეულს გახსნილი აქვს ისტორია.

#### **5. ჰოსპიტალური მომსახურება**

უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, სამედიცინო ჩვენებით, ექიმის მიერ დანიშნული ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობის (დიაგნოსტიკური ღონისძიებები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა, მედიკამენტები (პოსტ-ოპერაციული მედიკამენტების გარდა), პარენტერალური და ენტერალური კვების, სტანდარტული, რეანიმაციული და/ან ინტენსიური პალატა) სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, რომელიც დაზღვეულს გაეწევა ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

##### **5.1. ჰოსპიტალური მომსახურება უნდა მოიცავდეს:**

5.1.1. ჰოსპიტალურ მომსახურებას უბედური შემთხვევის გამო - უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო



პერიოდის განმავლობაში მხოლოდ გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსებას, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით აღემატება 1 საწოლდღეს.

5.1.2. გადაუდებელ ჰოსპიტალურ მომსახურებას - რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსებას, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით აღემატება 1 საწოლდღეს. ამასთან, აღნიშნული მომსახურებით უნდა იფარებოდეს ისეთი მომსახურებები, რომელიც ანაზღაურებადია დაზღვევის პირობებით/გამონაკლისებით და არ უნდა ხვდება კარდიოლოგიის, ონკოლოგიისა და დღისჰოსპიტალური მომსახურების ჩამონათვალში.

5.1.3. გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებას - უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ღირებულების სამედიცინო ხარჯები დაფინანსებას, რომელიც ანაზღაურებადია დაზღვევის პირობებით/გამონაკლისებით და არ ხვდება კარდიოლოგიის, ონკოლოგიისა და დღის ჰოსპიტალური მომსახურების ჩამონათვალში და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით აღემატება 1 საწოლდღეს.

5.1.4. კარდიოლოგიას - რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, გეგმიური და გადაუდებელი კარდიოქირურგიული, გეგმიური და გადაუდებელი ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურების, გეგმიური და გადაუდებელი ჩარევების/მანიპულაციების დაფინანსებას. აღნიშნული მომსახურებით იფარება ზემოთაღნიშნული შემთხვევები, რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით შეიძლება შეადგენდეს ან აღემატებდეს 1 საწოლდღეს. აღნიშნული ლიმიტიდან, ამ მომსახურებისათვის სადაზღვევო ბარათით დადგენილი თანაგადახდის გათვალისწინებით დაიფარება შემდგომი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯებიც (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები მიუხედავად იმისა, ამ გართულებებით გამოწვეული მდგომარეობები იქნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ, თუ ამბულატორიულ პირობებში გაწეული). ამასთან კორონაროგრაფია, რომელსაც არ მოყვება სტენტირება უნდა ანაზღაურდეს ამბულატორიისათვის გათვალისწინებული ლიმიტიდან, შესაბამისი თანაგადახდის გათვალისწინებით.

5.1.5. დღის ჰოსპიტალურ მომსახურება - უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნების მიუხედავად, მხოლოდ პოზიტიური სიით განსაზღვრულ გეგმიურ და გადაუდებელ (დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსებას, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება) ჩარევებს/მანიპულაციებს/ქირურგიული ოპერაციების სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსებას და ასევე ამ პოზიტიური სიის მიღმა არსებულ ისეთ შემთხვევებს, რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება სამედიცინო ჩვენებით არ აღემატება 1 საწოლ დღეს.

5.1.5.1. გინეკოლოგია;

5.1.5.1.1. პოლიპექტომია;

5.1.5.1.2. ოპერაციები/მანიპულაციები საშვილოსნოს ყელზე;

5.1.5.1.3. სამკურნალო ჰისტეროსკოპია/ჰისტერორეზექტოსკოპია;

5.1.5.1.4. აბლაცია;

5.1.5.1.5. ბართოლინის ჯირკვლის ამოკვეთა და დრენაჟი;

5.1.5.1.6. კისტის ამოკვეთა;



5.1.5.1.7. ლაპარასკოპიული კისტექტომია, ოვარექტომია, სალპინგექტომია, ადნექსექტომია;  
5.1.5.1.8. ენდომეტრიოზთან და ადენომიოზთან დაკავშირებული მანიპულაციების/ჩარევების/ქირურგიული მკურნალობა.

**5.1.5.2. ოტორინოლარინგოლოგია:**

- 5.1.5.2.1. ადენოიდექტომია;
- 5.1.5.2.2. ტონზილექტომია;
- 5.1.5.2.3. ადენოტონზილექტომია;
- 5.1.5.2.4. ნაზალური პოლიპექტომია;
- 5.1.5.2.5. ცხვირის ძვირის რეზექცია;
- 5.1.5.2.6. ნიჟარების დეზინტეგრაცია;
- 5.1.5.2.7. კონხოტომია
- 5.1.5.2.8. ქრონიკული სინუსიტი - ენდოსკოპიური ოპერაცია;
- 5.1.5.2.9. მირინგოტომია.
- 5.1.5.2.10. ჰაიმოროტომია
- 5.1.5.2.11. სეპტოპლასტიკა.

**5.1.5.3. ოფთალმოლოგია:**

- 5.1.5.3.1. კატარაქტას ოპერაცია;
- 5.1.5.3.2. ლაკრიმალური ჯირკვლის დრენაჟი;
- 5.1.5.3.3. ენტროპიონის/ექტროპიონის ოპერაცია;
- 5.1.5.3.4. კერატოპლასტიკა;
- 5.1.5.3.5. ლაზერო/ფოტოკოაგულაცია;
- 5.1.5.3.6. ენუკლეაცია/ევისცერაცია;
- 5.1.5.3.7. ფტერიგეუმის ამოკვეთა;
- 5.1.5.3.8. გუგის პლასტიკა;
- 5.1.5.3.9. დაკრიოცისტორინოსტომია;
- 5.1.5.3.10. დაკრიოცისტექტომია;
- 5.1.5.3.11. ვიტრექტომია;
- 5.1.5.3.12. სკლერის პლომბირება;
- 5.1.5.3.13. ინტრასტრომალური რკალების იმპლანტაცია;
- 5.1.5.3.14. გამჭოლი კერატოპლასტიკა;
- 5.1.5.3.15. YAG ლაზერული ქირურგია;
- 5.1.5.3.16. ოპერაციები საცრემლე არხზე;
- 5.1.5.3.17. ოპერაციები რქოვანაზე.

**5.1.5.4. გასტროენტეროლოგია:**

- 5.1.5.4.1. ფიზურექტომია;
- 5.1.5.4.2. პოლიპექტომია სწორი ნაწლავიდან;
- 5.1.5.4.3. პაპილოტომია/სფინქტეროტომია;
- 5.1.5.4.4. ვარიკოზული ვენების (კუჭის, საყლაპავის) ლიგირება;
- 5.1.5.4.5. გასტროსტომია;
- 5.1.5.4.6. პოლიპექტომია;
- 5.1.5.4.7. ელექტროკოაგულაციები;



- 5.1.5.4.8. პაპილოსფინქტეროტომია;
- 5.1.5.4.9. ლაპაროცენტეზი;
- 5.1.5.4.10. ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომია;
- 5.1.5.4.11. დერმოიდული/პილონიდალური კისტის დრენირება და/ან ამოკვეთა.

**5.1.5.5. გენიტურინარული ტრაქტი:**

- 5.1.5.5.1. ტროაკარული ეპიცისტოსტომია;
- 5.1.5.5.2. ლითოტრიფსია;
- 5.1.5.5.3. ჰიდროცელესთან/ვარიკოცელესთან დაკავშირებული ოპერაციები/მანიპულაციები;
- 5.1.5.5.4. ფიმოზთან დაკავშირებული ქირურგია;
- 5.1.5.5.5. ორქიექტომია;
- 5.1.5.5.6. ორქიოპექსია;
- 5.1.5.5.7. ეპიდდიმიექტომია;
- 5.1.5.5.8. კენჭის ენდოსკოპიური ამოღება;
- 5.1.5.5.9. ცისტოლითოტომია;
- 5.1.5.5.10. პერკუტანული ლაპაქსია;
- 5.1.5.5.11. შარდსაწვეთისა ან/და შარდის ბუშტის კათეტერიზაცია/სტენტირება;
- 5.1.5.5.12. ლაზერული და ოპტიკური ქირურგია.

**5.1.5.6. მამოლოგია:**

- 5.1.5.6.1. კისტების ამოკვეთა.

**5.1.5.7. ყბა-სახის ქირურგია:**

- 5.1.5.7.1. ჰაიმორის ღრუში შემავალი კისტის ამოკვეთა;
- 5.1.5.7.2. ქვედა ყბის არხში ჩაზრდილი კისტის ამოკვეთა;
- 5.1.5.7.3. სუბპერიოსტალური აბსცესის გაკვეთა;
- 5.1.5.7.4. პერიოსტიტის ოპერაციული მკურნალობა;
- 5.1.5.7.5. ცისტექტომია;
- 5.1.5.7.6. ანთებადი ინფილტრატის, აბსცესის გახსნა;
- 5.1.5.7.7. ალვეოლიტის მკურნალობა გამოფხეკის გზით.

**5.1.5.8. ქირურგია შერეული:**

- 5.1.5.8.1. რბილი ქსოვილების კისტების და აბსცესების ამოკვეთა და/ან დრენირება;
- 5.1.5.8.2. ქვემო კიდურის ვარიკოზული ვენების სტრიპინგი ან ლიგაცია, ფლებექტომია;
- 5.1.5.8.3. სამკურნალო მიზნით ლიმფური კვანძების ამოკვეთა
- 5.1.5.8.4. აბლაცია;
- 5.1.5.8.5. თორაკოცენტეზი;
- 5.1.5.8.6. სანაღვლე გზების დრენირება რენიმაციის მონიტორინგით;
- 5.1.5.8.7. კანის აბსცესებთან, ფლეგმონასთან, ფურუნკულთან, კარბუნკულებთან დაკავშირებული ოპერაციები/მანიპულაციები.

**5.1.5.9. ორთოპედია, ტრავმატოლოგია:**

- 5.1.5.9.1. მეტალოკონსტრუქციის ამოღება;
- 5.1.5.9.2. ლაპარასკოპიული ართროსკოპია/ლაპარასკოპიული მენისკექტომია.



ამასთან, აღნიშნული ლიმიტიდან, ამ მომსახურებისათვის სადაზღვევო ბარათით დადგენილი ანაგადახდის გათვალისწინებით უნდა იფარებოდეს აღნიშნული ჩარევების/მანიპულაციების/ქირურგიული ოპერაციების შემდგომი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯებიც (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები მიუხედავად იმისა, ამ გართულებებით გამოწვეული მდგომარეობები იქნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ, თუ ამბულატორიულ პირობებში გაწეული).

**შენიშვნა:** აღნიშნული მომსახურებიდან არ უნდა დაიფაროს არცერთი ჩარევა/მანიპულაცია/ქირურგიული ოპერაცია, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10-ე გადახედვით (ICD-10) განსაზღვრულია, როგორც კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი ონკოლოგიური პრობლემატიკა.

## 5.2. მომსახურების მიღების სქემა:

